ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲜᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ORGAN ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
4 ᲛᲐᲘᲡᲘ
1940 Წ.
№ 101 (5802)
ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

F 75 N165.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲞᲐᲠᲐᲓᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘᲡ ᲐᲛᲮ. Კ. Ე. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ Ი. ᲓᲔ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲙᲐᲮᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲖᲔᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

1-ᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲭᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐᲨᲘ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ. ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ): **Ვ. ᲑᲐᲩᲠᲐᲫᲔ, Ა. ᲗᲝᲛᲤᲣᲠᲘᲫᲔ, Ა. ᲠᲐᲤᲐᲕᲐ, Ს. ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ, Ჯ. ᲭᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ, Ა. ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ, Მ. ᲯᲐᲨᲘ,** ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ **ᲛᲝᲠᲝᲖᲝᲕᲘ,** ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ **Ს. ᲓᲔᲜᲘᲡᲝᲕᲘ, ᲤᲐ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ,** ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ **Ვ. ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.** ᲤᲝᲢᲝ ᲔᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲞᲐᲠᲐᲓᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲞᲐᲠᲐᲓᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ 634 ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲚᲝᲢᲘ. ᲡᲐᲓᲐᲮᲔᲡᲘᲐᲜᲝ ᲓᲦᲔ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲠᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲡᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲡᲘᲜᲒᲠᲔᲚᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲕᲘᲡᲐᲠᲘᲝᲜᲝᲕᲘ.

— ᲔᲡᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲘᲒᲘ, — ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ. ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲙᲘᲡ, ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘ, ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲢᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ, ᲛᲔᲪᲐᲒᲨᲘᲠᲔᲔᲑᲘ, ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲠᲩᲔᲓᲘᲗ ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲣᲠᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒ ᲜᲘᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲪᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ ᲐᲛᲮ. Კ. Ე. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 1940 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲘᲧᲝ. ᲘᲒᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ, ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ, ᲨᲐᲛᲐᲪᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲨᲔᲪᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ. ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ „ᲕᲐᲨᲐᲗᲐ“ ᲓᲐ ᲛᲭᲣᲮᲐᲠᲔ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲛᲔ ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ, ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ, ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲛᲐ, ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲛᲐ, ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲛᲐ, ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ. ᲐᲮ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲛᲐ, ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲛᲐ, ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲛᲐ, ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲠᲗᲧᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲜᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲫᲦᲝᲠᲔᲚᲘ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ, ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ, ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ, ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ, ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘ, ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ, ᲨᲕᲔᲠᲜᲘᲙᲘ, ᲑᲔᲠᲘᲐ, ᲛᲐᲚᲔᲜᲙᲝᲕᲘ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲘ, ᲑᲣᲚᲒᲐᲜᲘᲜᲘ, ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ, ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲘ, ᲙᲣᲚᲘᲙᲝᲕᲘ, ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲝᲕᲘ, ᲨᲢᲔᲠᲜᲘ, ᲠᲘᲩᲐᲒᲝᲕᲘ, ᲙᲠᲐᲕᲩᲔᲜᲙᲝ.** ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲛ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲮᲐᲓᲕᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲐᲑᲝᲑᲐ.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲡᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲡᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲚᲝᲢᲘ. ᲡᲐᲓᲐᲮᲔᲡᲘᲐᲜᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲨᲣᲐᲓᲦᲔ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ.

...ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲗ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ. ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲓᲝᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაული

წითელ მოედანზე გამართულ საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 1.800.000-ზე მეტმა კაცმა.

დიადი საბჭოთა ხალხი სინართლით დღესასწაულობს პირველ მაისს. სხვებზე ადრე ამ შესანიშნავ დღეს შორეულ აღმოსავლეთელი მესაზღვრეები შეხვდნენ.

ვლადივოსტოკში უკვე გაჩაღებული დღესასწაული იყო, როდესაც დედაქალაქში მხოლოდ თენდებოდა. ამოვიდა მზე და მისი სხივებით გაბრწყინდა მოსკოვი. საპირველმაისოდ მორთული ძველი ქალაქი ახალგაზრდულად გამოიყურება. გაზაფხულის გრილი დღე სიმხნევეს მატებს ადამიანებს, რომლებიც დილადანვე გამოსულან ქუჩებში, რათა მონაწილეობა მიიღონ სახალხო დღესასწაულში.

სადაც კი თვალი გაიხედავს — ყველგან ხალხია. მხიარული, გახარებული, ხალისიანი. მოზრდილები და ახალგაზრდობა, მოხუცები და ბავშვები. დღეს მთელი მოსკოვი ქუჩებსა და მოედნებზე გამოფენილა.

რადიო-რუპორები დედაქალაქს ჰფენენ მუსიკასა და საბრძოლო სიმღერების ხმას. შუადღისას მუსიკა დროებით წყდება და მთელი ქვეყანა ისმენს წითელი მოედნის ხმას, აქ იწყება საბჭოთა ხალხის უძლეველი არმიის საზეიმო საპირველმაისო პარადი. ამ წუთებში ადამიანთა აზრი მიპყრობილია იქითკენ, მოსკოვის გულისკენ, კრემლის შაღარა კედლებისაკენ. ყველას ნათლად აქვს წარმოდგენილი მავზოლეუმის ნაცრისფერი გრანიტის ტრიბუნა, სადაც ახლა უახლოესი თანამებრძოლებით გარშემორტყმული სდგას მშობლიური და დიდი სტალინი.

და მოსკოველთა კოლონები ნაბიჯს აჩქარებენ. ყველას უნდა, რაც შეიძლება მალე, მოხვდეს წითელ მოედანზე, ნახოს სტალინი, თავისი ხმა შეუერთოს საყოველთაო სახალხო მძლავრ „ვაშას“ საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის პატივსაცემად.

სულ უფრო დაუფრო ახლოვდება წითელი მოედანი. მის თავზე ელვის სისწრაფით დაჰქრიან თვითმფრინავები. მთელი მოსკოვი მაღლა იხედება და აფრთოვანებით მიესალმება შესანიშნავ მფრინავებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა სიამაყითა და სიყვარულით სტალინურ შეყვარდნებს უწოდებს.

14 საათია. ჯერ კიდევ გუგუნებენ და ჰაერს ახანზარებენ მოტორები, ხოლო წითელ მოედანზე უკვე შედიან დემონსტრანტები. წითლად ფრიალებს მრავალი ტილოები. ეს დედაქალაქის რაიონების მედროშეები წინ მიუძღვებიან სადღესასწაულო მსვლელობას. გადის რამდენიმე წუთი და მთელი მოედანი ხალხით ივსება. შემჭიდროებული და მონოლიტური, თავის მისწრაფებებში ერთიანი, იგი თვალს აბყრობს მავზოლეუმს, სტალინს. ამ წუთში გამალებით და მგზნებარედ სძგერს გული. ადამიანებს გულიდან აღმოხდებათ სასიხარულო შეძახილები.

— გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!** საპირველმაისო სალამი მშობლიურ **სტალინს!** ვაშა!

ზღვის ტალღების ცემასავით გრგვინავს აღფრთოვანებული „ვაშა“! და სტალინის სახელი, რომელსაც ათიათასობით ხმა იმეორებს, გაისმის როგორც გამარჯვების ჰიმნი, როგორც დიადი ხალხის სიამაყე და დიდება.

ხალხი აღფრთოვანებით მიესალმება საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს** და საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს ამხანაგ **ვოროშილოვს.**

მწყობრად და მხნედ მიდიან მოედანზე ფიზკულტურელთა კოლონები. მათ რიგებში არიან მსოფლიო რეკორდსმენები — მცურავები, სიმძიმის ამწეები, მეთხილამურენი, მორბენალები.

ნელა გამოდიან მოედანზე ლამაზი, მზეზე მოელვარე ახალთა-ახალი ავტომობილები. ეს არის მცირელიტრაჟიანი მანქანები, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის სახელობის ქარხნის კოლექტივის საუცხოო საპირველმაისო საჩუქარი. ქარხანა მზად არის! მესამე სტალინური ხუთწლედის ერთერთი პირმშო, იგი ჩადგა საბჭოთა ავტომობილმშენებლობის მომქმედ საწარმოთა მწყობრში, და დღეს მის პროდუქციას შეჰხარის სადღესასწაულოდ მორთული მოსკოვი.

მოედანზე დაუსრულებელ ნაკადად მიდიან ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა ახალ-ახალი კოლონები.

მხიარულად გაისმის მოედანზე საპირველმაისო მისალმება დედაქალაქის მრავალდაზოსან სტახანოველებისადმი..

როდესაც მოედანზე შედიან თავდაცვის მრეწველობის მუშაკები, მათ მხურვალე სიტყვებით მიესალმებიან. ხალხი გულთბილად ხვდება სტახანოველებს, კონსტრუქტორებს, გამომცდელ მფრინავებს — იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით ამრავლებენ საბჭოთა იარაღის დიდებას, ანმტკიცებენ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერებას.

წითელ მოედანზე მიდიან მფრინავები და პარაშუტისტები, მოწინაფეები და სტუდენტები. ბავშვებს მიაქვთ წითელი დროშები, რომლებიც პიონერთა საუკეთესო რაზმებს აქვთ გადაცემული. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები კოლონის თავზე მაღლა სწევენ ფარს შემდეგი წარწერით: „უნივერსიტეტში სწავლის 2.800 ფრიადოსანი და დამკვრელია“. საარქიტექტურო ინსტიტუტის სტუდენტთა უმრავლესობა დღესასწაულს შეხვდა საუკეთესო წარმატებებით სწავლაში. კოლონის პირველ რიგებში მიდიან სტალინური სტიპენდიების კანდიდატები — ჩვენი დიადი ქვეყნის საუცხოო ქალაქებისა და განახლებული სოფლების მომავალი ხუროთმოძღვრები.

შემჭიდროებულ რიგებად, მხარდამხარ მიდიან მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები, მოსკოვის განაპირა უბნების კოლმეურნეობათა წევრები; სსრ კავშირის დიდი თეატრისა და სამხატვრო თეატრის არტისტები; მშენებლები და მასწავლებლები; ექიმები და მწერლები; ინჟინრები და აკადემიკოსები. დემონსტრანტებს ხელში უჭირავთ **მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის** წიგნების მაკეტები. წითელ ტილოებზე წარწერილია: „სალამი ამხანაგ სტალინს საბჭოთა ინტელიგენციისაგან!“, „გაუმარჯოს ლენინიზმს!“ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოლონაში მიაქვთ სურათი, რომელიც გამოხატავს ამხანაგ სტალინის საუბარს აკადემიკოს ციცინთან. სურათქვეშ მოყვანილია სტალინის სიტყვები. ეს სიტყვები მკვეთრად ახასიათებენ იმ საყოველთაო პატივისცემას, რომლითაც გარემოსილია მეცნიერები ჩვენს ქვეყანაში: „გაბედულად აწარმოეთ ექსპერიმენტები, ჩვენ მხარს დაგიჭერთ“.

დემონსტრანტთა თვალი ტრიბუნისაკენ არის მიპყრობილი. იქ სდგანან საყ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის **პოლიტბიუროს** წევრები, საბჭოთა მთავრობის წევრები. მოსკოვის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან ბოლშევიკური პარტიის მებრძოლ შტაბს—საკ. კ. პ. (ბ) **ლენინურ-სტალინურ** ცენტრალურ კომიტეტს, ბრძენ საბჭოთა მთავრობას.

— გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) — საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოწინავე რაზმს! — მრავალჯერ გაისმის მოედანზე ხალხის მისალმების სიტყვები ბოლშევიკთა უძლეველ **ლენინურ-სტალინურ** პარტიისადმი.

...ოთხ საათს გრძელდებოდა საზეიმო მსვლელობა. ამ დროის განმავლობაში წითელ მოედანზე 1.800.000-ზე მეტმა კაცმა გაიარა. ხალხის მძლავრ მსვლელობაში მოსჩანს მისი სიმშვიდე და ძალა, რომლებიც მან ცხადჰყო დღეს თავის საყვარელ პირმშოებთან — წითელ არმიასთან და საშჭდრო-საზღვაო ფლოტთან ერთად. დედაქალაქის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა საბჭოთა ხალხის უმაგალითო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი მონოლიტური შემჭიდროება პარტიის, მთავრობის, შშობლიური **სტალინის** გარშემო. (საკდესი).

საპირველმაისო ზეიმი თბილისში

მეოთხედი მილიონი დემონსტრანტი ქუჩებში, 200 საბრძოლო საჰაერო ხომალდი ჰაერში

საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული შეხვდა ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — პირველ მაისს. განთიადისას ისევ გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა სცრიდა და ცა ისევ ღრუბლებით იყო დაფარული, რომ ქუჩებში სადემონსტრაციოდ გამოსულ მშრომელთა მხიარულმა ჟრიამულმა მოიცვა მთელი ქალაქი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა ყველა მიეშურებოდა საპირველმაისო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

გადაიღო წვიმამ. გაზაფხულის მზემ გააბრწყინა საზეიმოდ მორთული ქალაქი და გააშრო წვიმით დასველებული ფილქანი.

ამ დროს **ბერიას** სახელობის მოედანზე უკვე თავს იყრიდნენ საპარადოდ გამოსული უძლეველი წითელი არმიის ნაწილები. მოედნის ირგვლივ ქვაფენილები აივსო გამარჯვებული ხალხის დემონსტრაციისა და სახელოვანი წითელი არმიის პარადის საყურებლად გამოსული მშრომელებით.

დილის 10 საათი გახდა. მოედნის ბოლოს აღმართულ მარმარილოს ტრიბუნაზე ავიდნენ ამხანაგები — **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, ფ. მახარაძე, მ. ჯაში, ა. თოფურიძე, ს. ხოშტარია, ა. რაფავა, ს. იშხანოვი, ი. კოჭლამაზაშვილი, ა. კვაჭაძე, ვ. ეგნატაშვილი, ა. მირცხულავა,** საბჭოთა კავშირის გმირები—ორგზის გმირი, კორპუსის მეთაური **ს. დენისოვი,** პოლკოვნიკი **ვ. ნანეიშვილი** და უმცროსი ლეიტენანტი **კ. სიმონიანი,** აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი,** ორდენოსანი დრამატურგი **შ. დადიანი,** სსრკ სახალხო არტისტი **ა. ვასაძე,** პოეტები — **ი. აბაშიძე** და **ს. ეული, თ. ბირკაძე, ვ. სალაძე,** პროფ. **ა. მაჭავარიანი, ე. მაზნაშვილი** და სხვ.

სწორ ოთხკუთხედებად დაწყობილი ჯარის ნაწილებით სავსე მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა. ამიერკავკასიის საოლქო შტაბის ალაყაფიდან ცხენით გამოვიდა ა.-ჯ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, მეორე რანგის **სარდალი** ამხ. **ტიულენევი. სარდალმა** მიიღო პარადის სარდლის, **ბრიგადის** მეთაურის ამხ. **ხრიაშჩევის** პატაკი და დაიწყო ნაწილების ჩამოვლა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — მიესალმებოდა სარდალი პარადის მონაწილეებს და გაისმოდა ერთსულოვანი და ძლიერი საპასუხო მისალმება.

— გაუმარჯოს!

— მოგვილოცავთ პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს!

„ურასა“ და „ვაშას“ ძახილით აცილებდნენ წითელი არმიის ფოლადისებრი მწკრივები სარდალს. მეოთხედ საათზე მეტხანს გაგრძელდა საპარადოდ გამოსულ ნაწილთა ჩამოვლა. ბოლოს სარდალი ამხ. ტიულენევი დაბრუნდა ტრიბუნაზე და იქ მიკროფონთან წარმოსთქვა არმიისა და ხალხისადმი მიმართული მისასალმებელი სიტყვა.

—ამიერ-კავკასიის საბჭედრო ოლქის ჯარები,—სთქვა თავისი სიტყვის დასასრულს სარდალმა, — მზად არიან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ მტერს, თუ იგი შეეცდება დიადი საბჭოთა კავშირის ამ მშვენიერ კუთხის ამიერ - კავკასიის საზღვრების დარღვევას. ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები ბრწყინვალედ გაამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც მათზე ამყარებს ამიერ-კავკასიის მშრომელი მოსახლეობა, მთელი საბჭოთა ხალხი.

გაუმარჯოს ჩვენს დიადსა და უძლეველ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენ მშობლიურ საბელოკან წითელ არმიას!

გაუმარჯოს ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს!**

ხანგრძლივმა „ურამ“ და „ვაშამ“, ქვაფენილებზე თავმოყრილი ხალხის ძლიერმა ტაშმა დაჰფარა ამხ. ტიულენევის ბოლო სიტყვები. ქარიშხლის ხმაურივით მოისმოდა „ურას“ ძახილი მოედნის ყოველი კუთხიდან, ახლო-მახლო ქუჩებიდან.

დაიწყო პარადის მონაწილე ჯარების საზეიმო მარშით გავლა. ქვეითი ნაწილები და ცხენოსნები, არტილერისტები და მეტყვიამფრქვეველნი ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ ტრიბუნის წინ.

ჰაერში გამოჩნდნენ სახელოვანი საბჭოთა ავიაციის ესკადრილიები. მაღლა, ძლიერ მაღლა მიფრინავდნენ ისინი და ჰორიზონტიდან კვლავ ახალახალი ესკადრილიები ამოდიოდნენ მოზეიძე დედაქალაქის თავზე.

200 საბრძოლო საჰაერო ხომალდმა გადაიარა ამ დღეს მოედნის თავზე. მოედანზე კი კვლავ გრძელდებოდა სამხედრო ნაწილების გავლა.

შესანიშნავი და იშვიათი სანახაობა იყო — ჩვენი უძლეველი არმიის პარადი.

ბოლოს დამთავრდა სამხედრო პარადიც. კომინტერნის ახლად გაფართოებული, საზეიმოდ მორთული ქუჩიდან მოისმა სიმღერა და დფდაფების ხმაური. იწყებოდა მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრანტებს წინ მოუძღოდნენ პიონერთა რაზმები, მედროშეები და ფიზკულტურელები.

ქალაქის რაიონებიდან სადემონსტრაციოდ გამოსულ მშრომელთა კოლონებს თან მოჰქონდათ დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** და მის უახლოეს მოწაფეთა და თანამებრძოლთა პორტრეტები, საპირველმაისო ლოზუნგები, ტრანსპარანტები, საკუთარ საწარმოო გამარჯვებათა მაჩვენებლები. ყველა ფაბრიკის, ყველა ქარხნის, ყოველი დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა კოლონები საკუთარი, ორიგინალური გაფორმებით გამოსულიყვნენ სადემონსტრაციოდ. მრავალფეროვან, საინტერესო და იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა ამ დროს მოედანი.

— გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს დიდ **სტალინს!**

— გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ბერიას!** მოისმოდა ტრიბუნიდან საპირველმაისო ლოზუნგები და დიდი **სტალინისა** და მისი თანამებრძოლებისადმი მიმართული მისალმებათა შეძახილები.

— გაუმარჯოს დიდ **სტალინს** — გაისმოდა მრავალრიცხოვან დემონსტრანტთა ძლიერი შეძახილი, რომელსაც ჰფარავდა „ვაშასა“ და ტაშის ხმაური.

— გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის გმირებს, ვაშა დიდი სტალინის მიერ აღზრდილ ჩვენს ამაყ შვილებს!

თაიგულებით და საზეიმო შეძახილებით მიესალმებოდნენ მშრომელები ტრიბუნაზე თავმოყრილთ.

შუადღე უკვე გადასული იყო, როცა დემონსტრაციები დამთავრდა, მეოთხედმა მილიონმა, ანუ 250.000 მეტმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა საპირველმაისო დემონსტრაციაში.

უცხოეთის გამოძახილი მოსკოვში გამართული საპირველმაისო ზეიმის გამო

ბულგარეთი

სოფია, 2 მაისი (საკდესი). სოფიის გაზეთები დიდი სათაურებით — „წითელი არმია და 183-მილიონიანი ხალხი მზად არიან“, „1 მაისი სსრ კავშირში მშვიდობიანობისა და ნეიტრალიტეტის ნიშნით“ — აქვეყნებენ მოსკოვში წითელ მოედანზე შემდგარი საპირველმაისო პარადისა და დემონსტრაციის და მთელ საბჭოთა კავშირში 1 მაისს ჩატარებული დღესასწაულის დაწვრილებითს ანგარიშს.

გაზეთებმა მოათავსეს ამხ. ვოროშილოვის მიერ პარადზე წარმოთქმული სიტყვის სრული ტექსტი და გამოხმაურება საბჭოთა კავშირში გამართული საპირველმაისო ზეიმობის გამო. გამოქვეყნებულია მოსკოვში შემდგარი სამხედრო პარადის სურათები და ამხ. ვოროშილოვის პორტრეტები.

რუმინეთი

ბუქარესტი, 2 მაისი (საკდესი). ყველა გაზეთი ათავსებს მოსკოვში 1 მაისს გამართული დღესასწაულის ანგარიშს, აგრეთვე ამხ. ვოროშილოვის სიტყვის სრულ ტექსტს. მთელი რიგი გაზეთები ათავსებენ ამხ. ვოროშილოვის პორტრეტს.

ლიტვა

კაუნასი, 2 მაისი (საკდესი). ყველა ლიტვურმა გაზეთმა დღეს მთლიანად გამოაქვეყნა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვისა და სსრ კავშირის საბჭედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის ამხ. კუზნეცოვის ბრძანებანი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ პარადი წითელ მოედანზე დიდი წარმატებით ჩატარდა.

ლატვია

რიგა, 2 მაისი (საკდესი). ლატვიური გაზეთები ვრცლად აქვეყნებენ ცნობებს საბჭოთა კავშირში 1 მაისს მოწყობილი დღესასწაულის შესახებ. გაზეთები ათავსებენ სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. ვოროშილოვის სიტყვისა და ბრძანების ამონაწერებს.

1 მაისის დღესასწაული საზღვარგარეთ

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 2 მაისი (საკდესი). 1 მაისს ნიუ-იორკში შესდგა მშრომელთა ასიათასიანი დემონსტრაცია და გრანდიოზული მიტინგი. დემონსტრაციაში, რომელიც დაახლოებით 8 საათს გრძელდებოდა, მონაწილეობა მიიღეს 500 პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა; ამ ორგანიზაციებში საერთოდ 600 ათასი წევრი ითვლება. მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობათა მრავალრიცხოვანმა ჯგუფებმა, ლათინური ამერიკის და ესპანელმა მუშებმა, ლიტველებმა, პოლონელებმა და სხვა. სკანდინაველი მეზღვაურები დემონსტრაციაზე გამოვიდნენ ლოზუნგით: „იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ“. ფინელ მუშებს მიჰქონდათ დროშა ლოზუნგით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულებას!“

სოციალისტურმა პარტიამ უარი სთქვა დემონსტრაციაში მონაწილეობაზე. მაგრამ ასობით მუშამ მკერავთა პროფკავშირისამ, რომელიც ამერიკის შრომის ფედერაციას ეხმრობა, მიიღო მასში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ხელმძღვანელობამ სცადა ხელი შეეშალა ამისთვის.

დემონსტრანტების კოლონებს მიჰქონდათ ლოზუნგები: „შვილი იმიტომ როდი გამოზრდილა, რომ იგი ფულ-სტრატისათვის ჯარისკაცი გამხდარიყო“, „ყველა ქვეყნის მუშებო, ჩაჭრით იმპერიალისტური ომი!“ და სხვ.

ხალხმრავალი დემონსტრაციები შესდგა აგრეთვე ჩიკაგოში, ფილადელფიაში, ბოსტონში, პიტსბურგში, დეტროიტში, კლივლენდში, ბალტიმორში, სან-ფრანცისკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში.

ინგლისი

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ აკრძალა 1 მაისის დღესასწაული, მთელს ინგლისში მოეწყო მუშათა დემონსტრაციები და მიტინგები იმპერიალისტური ომის შეწყვეტისა და კოლონიური ხალხების განთავისუფლებისთვის ბრძოლის ლოზუნგებით.

ლონდონში გაიმართა დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს 26 ფაბრიკის დელეგაციებმა, საავიაციო მრეწველობის მუშების, რამდენიმე საავტობუსო პარკისა და კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მიტინგის შემდეგ მრავალი დემონსტრანტი ქუჩებში გაემართა. ხალხი მოწონებას შეძახილებით ეგებებოდა მათ.

შოტლანდიაში 6 შახტის მეშახტეებმა 1 მაისს შეწყვიტეს მუშაობა და მონაწილეობა მიიღეს მეშახტეთა კავშირის მიერ მოწყობილ დემონსტრაციაში.

მანჩესტერში დემონსტრაციას მეთაურობდნენ ინტერნაციონალური ბრიგადის წევრები, რომელნიც მონაწილეობდნენ ესპანეთის სამოქალაქო ომში.

ასობით რკინიგზელი მუშები იღებდნენ მონაწილეობას სუთნდენში გამართულ მიტინგში.

ლივერპულში უნივერსიტეტის დემონსტრანტი სტუდენტები მოითხოვდნენ კოლონიური ხალხების განთავისუფლებას და პროტესტს აცხადებდნენ საფრანგეთში რეაქციის გაძლიერების წინააღმდეგ.

ჩინეთი

ჩუნცინი, 2 მაისი (საკდესი). ჩინეთში 1 მაისმა ჩაიარა ქვეყნის ძალთა ნაციონალურგანმანთავისუფლებელი ბრძოლისათვის დარაზმვის ლოზუნგებით. ჩინურ ყველა გაზეთში მოთავსებული იყო სპეციალური სტატიები და მიმართვები ხალხისადმი.

გაზეთი „სინხუაიბაო“ სწერს: „ჩინეთის მუშათა კლასის წინაშე სდგას უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა — განაგრძოს შეიარაღებული წინააღმდეგობა, აგრეთვე ბრძოლა იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც თანხმდებიან იაპონიასთან კომპრომისზე“.

შანხაი, 2 მაისი (საკდესი). შანხაის ჩინელმა მუშებმა, მიუხედავად მეტისმეტად მცირე ხელფასისა, 1 მაისს მოაწყეს შეწირულების შეკრება ჩინეთის არმიის მებრძოლთათვის საჩუქრების შესაძენად. მთელი რიგი მუშათა ორგანიზაციები ჩანკაი-შისათვის გაგზავნილ დეპეშაში გამოსთქვამენ საბოლოო გამარჯვების რწმენას და დაჰმარებას აღუთქვამენ მას ძან ძინ-ვეისა და მის ბატონ-პატრონთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბრაზილია

რიო-დეჟანეიროს საპირველმაისო მიტინგში მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა კაცმა. (საკდესი).

კანადა

ტორონტოში, ვანკუვერში, ვინიპეგსა და კანადის სხვა ქალაქებში საპირველმაისო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა. (საკდესი).

მექსიკა

ქალაქ მექსიკოში გაიმართა მშრომელთა დემონსტრაცია და მუშათა გასამხედროებული რაზმების პარადი. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მექსიკის მუშათა კონფედერაციის 35 ათასმა წევრმა. მუშათა გასამხედროებული რაზმების პარადში დაახლოებით 75 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მონაწილეობას იღებდა მექსიკის არმიის ორკესტრი (საკდესი).

პანამა

პანამაში ხელისუფლებამ აკრძალა საპირველმაისო დემონსტრაცია. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის გმირი ი. დ. პაპანინი თბილისში

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **ი. დ. პაპანინი** და თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სალაძე.**

ფოტო რ. აკოფოვისა

2 მაისს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა არქტიკის ცნობილი მკვლევარი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ივანე დიმიტრის-ძე პაპანინი. თბილისში ჩამოსვლის დღესვე ი. დ. პაპანინმა ინახულა ავლაბრის რესტავრირებული არალეგალური სტამბა და ამხანაგ **სტალინის** სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფ უ ნ ი კულორის პლატო).

გუშინ ამხანაგი პაპანინი დილადანვე შეუდგა თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებას. მან ინახულა მარქსენგელს - ლენინის ინსტიტუტის ფილიალი, ზოოლოგიური ბაღი და სამკურნალო კომბინატი. შუადღისას ი. დ. პაპანინი ეწვია თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მეთხუთმეტე სკოლის მოწაფეებს, რომელნიც საპატიო სტუმარს ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდნენ, მიართვეს თაიგულები. მოწაფეებით გავსებულ დარბაზში დიდხანს მოისმოდა შეძახილები საპატიო სტუმრის პატივსაცემად. პაპანინი ესაუბრა მოწაფეებს ჩრდილოელთ პოლუსზე მოწყობილ ექსპედიციაზე, უამბო ზოგიერთი საინტერესო ეპიზოდი ექსპედიციის მუშაობიდან. საუბრის დამთავრებისას პაპანინმა მოწაფეებს მოუწოდა სასახელოდ შეასრულონ მათი მოვალეობა — ფრიადზე სწავლა.

დასასრულს პაპანინმა ფრიადოსან მოწაფეებს სახსოვრად დაუტოვა მკერდზე სატარებელი ნიშნები.

საბჭოთა კავშირის გმირები გორში

(ბოკრ, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

2 მაისს გორში ჩამოვიდნენ საბჭოეთის უშიშარი შევარდნები: საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, კორპუსის მეთაური **ს. დენისოვი** და საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი **ვ. ნანეიშვილი.** ძვირფას სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები.

ამხანაგებმა დენისოვმა და ნანეიშვილმა დაათვალიერეს ბელადის სახლი და ამხანაგ **სტალინის** ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საბჭოთა კავშირის გმირები გორში

(ბოკრ, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

2 მაისს გორში ჩამოვიდნენ საბჭოეთის უშიშარი შევარდნები: საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, კორპუსის მეთაური **ს. დენისოვი** და საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი **ვ. ნანეიშვილი.** ძვირფას სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები.

ამხანაგებმა დენისოვმა და ნანეიშვილმა დაათვალიერეს ბელადის სახლი და ამხანაგ **სტალინის** ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საქდესის განწორება

„კომუნისტის“ 24 აპრილის ნომერში დაბეჭდილი — ტყავის ნედლეულის დამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მე-11 მუხლი უნდა იკითხებოდეს:

ერთპიროვნული მეურნენი, რომელნიც დადებულებათა ჩაბარების მომენტისათვის მუშაობენ სიზონურ სამუშაოზე ან ერთ წელზე ნაკლებს მუშაობენ, საგალდებულო წესით აბარებენ დამზადებათა სახალხო კომისარიატის „ზაგოტპრივსირიოს“, სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის საგალდებულო ჩაბარებაში შემდეგი ანგარიშით ჩაითვლებს:

კარაკულის კრაველის ერთი ტყავი ერთ ცხვრის ტყავად;

მე-17 მუხლი უნდა იკითხებოდეს:

სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის საგალდებულო ჩაბარების ანგარიშში მიიღება I და II ხარისხის ტყავი. დაბალი ხარისხის ტყავის ნედლეულის ჩაბარების დროს ვალდებულებათა შესრულებაში ჩათვლება III ხარისხის ტყავი ჩაბარების ნორმის 25 % დაკლებით და IV ხარისხის ტყავი ჩაბარების ნორმის 35 % დაკლებით.

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს“ გამარჯვება

2 მაისს თბილისში, კიევში და სტალინგრადში შესდგა ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების პირველი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე.

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ადგილობრივ „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს ეთამაშა ლენინგრადის „ზენიტი“. უკანასკნელი წუთების განმავლობაში თბილისელებმა ოთხჯერ გაარღვიეს ლენინგრადელების კარი და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 4:2.

კიევში ადგილობრივ „დინამოს“ შეხვდა მოსკოვის „მეტალურგი“, ხოლო სტალინგრადში „ტრაქტორი“ ეთამაშა „ცდკა“-ს. ორივე მატჩი დაბოლოვრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

3 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის „ლოკომოტივსა“ და ლენინგრადის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ლენინგრადელების გამარჯვებით, ანგარიშით 3:0.

მუშაფოლკორთა კაბინეტში

(ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული, ოთახი 17)

4 მაისს საღამოს 8 საათზე შესდგება ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსდამთავრებულ მსმენელთა გამოცხადება მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ნ. ვ. პოდგორნი** დანიშნა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ კადრების დარგში.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ა. პოპოვი** დანიშნა კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. **ნ. დ. ნოსონოვი, ბ. პ. ასეევი** და **გ. ა. ომელჩენკო.**

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ დანიშნა ამხ. **მ. ი. სალტიკოვი.**

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ დანიშნა ამხ. **ლ. პ. გრაჩოვი.** (საკდესი).

სამაჩი მოქმედება ნორვეგიაში

გერმანიის ცნობები

გერლინი, 1 მაისი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

გერმანიის ჯარი ნორვეგიაში კვლავ წინ მიიწევს. ლილეჰამერის ჩრდილო-დასავლეთით ტყვედ არის წამოყვანილი ნორვეგიის მეორე დივიზიის ნაშთი 200 ოფიცრისა და 3.500 ჯარისკაცის შემადგენლობით, აგრეთვე 40 ინგლისელი. ხელთ ვიგდეთ 7 ქვემეხი, 125 ტყვიამფრქვევი, 250 ავტომობილი, 1200 კაცი დაგვნებდა მთებში ლომენის მახლობლად.

ნამსოსის რაიონში გერმანიის ავიაციამ ჩასძირა ინგლისის საჰაერო თავდაცვის გემი, საეკაღრო ნაღმოსანი და 5 ტრანსპორტი. დიდად დაზიანდა მძიმე კრეისერი.

გერლინი, 2 მაისი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ, როდესაც ინგლისის ავიაცია თავს დაესხა სტავანგერს, განადგურებულ იქნა ინგლისის 11 თვითმფრინავი.

საჰაერო ბრძოლის შედეგად ინგლისის ავიაციის ოსლოზე თავდასხმის დროს 30 აპრილს, ღამით, ინგლისის ორ თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა.

უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარმა დაიკავა ქალაქი დომბოსი, ოსლო-ტრონჰეიმის რკინიგზის ხაზის უმნიშვნელოვანესი საკვანძო პუნქტი. გაზეთები აღნიშნავენ: დომბოსის დაკავება იმას ნიშნავდეს, რომ ჩაიფუშა გეგმები მოწინააღმდეგისა, რომელიც ცდილობდა გადაეკრა ნორვეგია და საომარ მ